

სტუდენტური ბიბლიოთეკის კოლექციის აღწერა
სტუდენტური ბიბლიოთეკის კოლექციის აღწერა
სტუდენტური ბიბლიოთეკის კოლექციის აღწერა

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek -
2000/185

გეოგრაფიის სტანდარტი ქართული სკოლებისათვის შემუშავებულია განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ცნობილია, რომ კანონით სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი სკოლის „... საფეხურებისა და სწავლების ხანგრძლიობის საფუძველზე აღგენს სასწავლო დისციპლინათა ნუსხას, განსაზღვრავს სასწავლო საგნების ციკლთა შორის თანაფარდობას, სასწავლო დატვირთვის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი ღონის კრიტერიუმებს საფეხურების მიხედვით და მოსწავლეთა მიდრეკილების გათვალისწინებით, სწავლების დიფერენცირების ზღვრულ ნორმებს, აგრეთვე სასწავლო მატერიალური ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატიულ მოთხოვნებს“ (მუხლი 6). ამ ჩამონათვალთან ეს სტანდარტი განსაზღვრავს სწავლების შინაარსის სავალდებულო მინიმუმს. მასში შინაარსთან ერთად მოცემულია დავალებათა ნიმუშები, რათა დაინტერესებულ პირთათვის ნათელი გახდეს რა მოთხოვნებია წაყენებული მოსწავლეთა მომზადების მიმართ.

GE
Z-8
(197)

01267 1001

შემდგენელი: მ. დევდარიანი
რედაქტორი: ლ. ჩიქვანაია

გეოგრაფიას, როგორც სასწავლო დისციპლინას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოზარდი თაობის აღზრდაში, ამას განაპირობებს მისი შინაარსის სპეციფიკა და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში. იგი გამორჩეულად მრავალმხრივი კურსია და ამასთან ერთადერთია, რომელიც პლანეტა "დედამიწას" მთლიანობაში განიხილავს. მას გააჩნია ორი ძირითადი მიმართულება - საბუნებისმეტყველო და სოციალურ-ეკონომიკური. ეს ხელს უწყობს მოზარდებში ზოგადი და ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბებას, აცნობს მათ გეოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედებას, ცალკეული ტერიტორიის ბუნებრივ პირობებსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებებს, რაც ასევე ხელს უწყობს მეურნეობის გაძლიერების ეფექტურობის ამაღლებას, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, გარემოს დაცვას.

გეოგრაფიული კულტურა ზოგადსაკაცობრიო კულტურის ნაწილია. მისი მეშვეობით მოსწავლეები იგებენ, თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ დედამიწა, იმუშაონ გეოგრაფიული ინფორმაციის წყაროებზე, ისარგებლონ გეოგრაფიული რუკებით, დაიცვან ეკოლოგიური წონასწორობა, იცოდნენ საერთაშორისო გეოგრაფიული ენა - რუკის წაკითხვა.

გეოგრაფიული განათლება საფუძველს ქმნის მოჭირნახულე, ქვეყნის ნამდვილი მეურნის აღზრდისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საგანმანათლებლო სტანდარტში განისაზღვროს გეოგრაფიის ადგილი, როგორც საბუნებისმეტყველო-საზოგადოებრივი მეცნიერებისა, რომლისთვისაც დამახასიათებელი უნდა იყოს კომპლექსური მიდგომა ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა: ბუნების და ადამიანის ურთიერთმოქმედება, მსოფლიოს ტერიტორიული ნაირფეროვნება (კონტინენტების, მსხვილი რეგიონების, ცალკეული ქვეყნების, საკუთარი ქვეყნის, თავისი ადგილის მიხედვით), სამყაროს მთლიანობა; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობებში თითოეული ადამიანის საქმიანობა ჩართულია ურთიერთმოქმედების ისეთ უმნიშვნელოვანეს სისტემაში, როგორიცაა "ბუნება-ადამიანი-საზოგადოება". ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოლოგიური კულტურის ფორმირებას, გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს, გეოგრაფიული რუკით სარგებლობას.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო გეოგრაფიის კურსი საჭიროებს ძირეულ გადა-მუშავებას თანამედროვე მოთხოვნათა და მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად.

ახალ პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ კავშირს ბუნებასა და საზოგადოებას შორის, ცოდნის დონის ამაღლებას, ქვეყნათმცოდნეობის კურსის შემოღებას. გეოგრაფიის ყველა კურსში გატარდება ეკოლოგიზაციისა და სოციოლოგიზაციის იდეები, რადიკალურად შეიცვლება სასკოლო გეოგრაფიის შინაარსი და სტრუქტურა, მოხდება მისი ჰუმანიზაცია. ყოველი კურსის შინაარსში ბუნებასთან ერთად მთავარი ყურადღება დაეთმოთ ადამიანს, მისი ცხოვრების პირობებს, ურთიერთმოქმედებას სისტემაში "ბუნება-მოსახლეობა-მეურნეობა"; მოსწავლის შემოქმედებით საქმიანობას, სწავლების პრობლემურ-საძიებო მეთოდებს.

სასკოლო გეოგრაფიის ყოველი კურსი უნდა აიგოს პრინციპით მარტივიდან რთულისაკენ, ახლობელიდან შორეულისაკენ, კერძოდან ზოგადისაკენ.

გეოგრაფიის საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით გეოგრაფია ისწავლება V-XII კლასებში. კურსი ნაწილდება შემდეგნაირად:

1. ელემენტარული სკოლა (V-VI კლასები) - "ბუნებისმცოდნეობა". ამ კურსში მოსწავლეებს ექმნებათ წარმოდგენა სხეულისა და ნივთიერების, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების, ბუნების მოვლენების, დედამიწის, როგორც მზის სისტემის, ციური სხეულების, დედამიწის მოძრაობის, ჰაერის, წყლის, მთის ქანების, ნიადაგების, მცენარეული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ.

2. ძირითადი სკოლა (VII-IX კლასები). ამ საფეხურზე უნდა ისწავლებოდეს ზოგადი გეოგრაფიული ცნებები, პლანეტა დედამიწის წარმოქმნის ისტორია, ბუნების კომპონენტები, წყლისა და ჰაერის გარსის წარმოქმნა და შეცვლა. ამ კურსის შესწავლისას მოსწავლეებს განუვითარდებათ შეხედულება სამყაროს მთლიანობისა და მრავალფეროვნების შესახებ, აღედრებათ ინტერესი საგნისადმი.

კურსის უკეთ ათვისებისათვის საჭიროა პრაქტიკული სამუშაოების გაძლიერება, განსაკუთრებით ბუნების ცალკეული კომპონენტისა და ბუნებრივი კომპლექსების შესწავლისას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ეკოლოგიურ განათლებას. აღნიშნული კურსი ითვალისწინებს ისეთი ამოცანების გადაჭრას, როგორცაა კავშირები ბუნებასა და ადამიანს შორის. ამიტომ კურსის შესწავლა დამთავრდება თავისი ადგილის ბუნების შესწავლით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ

ადგილის გეგმისა და გეოგრაფიული რუკის შესწავლას, გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებას, დედამიწის გამოკვლევებსა გეოგრაფიულ აღმოჩენებს და სხვ.

ზოგადი დედამიწისმცოდნეობის საკითხებთან ერთად აუცილებელია იხილებოდეს კომპლექსური ქვეყნათმცოდნეობის საკითხები, გაძლიერდეს სასკოლო გეოგრაფიის ჰუმანიტარული როლი, რაც ხელს შეუწყობს კურსის აღმზრდელობითი პოტენციალის ამაღლებას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ცალკეული კონტინენტის ქვეყნებისა და ხალხების შესწავლას, ეთნოგრაფიული, ეკოლოგიური, სოციალური შინაარსის საკითხებს. კურსის შესწავლა იწყება აღმოჩენათა ისტორიით. უფრო კონკრეტულად ეს მასალა განიხილება ცალკეული კონტინენტისა და ოკეანის შესწავლისას. დასაშვებია შინაარსის გამდიდრება ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის, ტოპონიმიკის, რელიგიის საკითხებით, მეტი ყურადღება დაეთმობა ბიოგეოგრაფიის, სამედიცინო გეოგრაფიის საკითხებს, ისტორიულ და მხარეთმცოდნეობით მიდგომას.

ძირითადი სკოლის გეოგრაფიის კურსი დასრულდება საქართველოს გეოგრაფიის კომპლექსური შესწავლით (საქართველო—კავკასია—შავი- ზღვისპირეთის მხარე, გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბუნებრივი კომპლექსები: მოსახლეობა, მეურნეობა, ბუნებრივ—სამეურნეო რაიონების დახასიათება. ადმინისტრაციული დაყოფა. თავისი რაიონი).

3. საშუალო სკოლა (X-XII კლასები). ისწავლება "მსოფლიო გეოგრაფია" (საზღვარგარეთის ქვეყნები), "გეო-ეკოლოგიის საფუძვლები" და "ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია". აუცილებელია კურსის განთავისუფლება იდეოლოგიური დოგმისაგან, ქვეყნების შესწავლა მიზანშეწონილია კომპლექსურად, ქვეყნის ნაწილების მიხედვით. კურსის პირველი ნაწილი დაეთმობა მსოფლიოს მეურნეობის ზოგად მიმოხილვას. აუცილებელია კურსს დაემატოს გეოგრაფიული გარსის გლობალური და რეგიონალური გეო-ეკოლოგიური პრობლემები. მეორე ნაწილში კი განიხილება სხვადასხვა ქვეყანა კომპლექსურად.

ამ კურსში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საქართველოს როლს მსოფლიოს ეკონომიკაში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის შეცვლას დროში, ურთიერთკავშირს სხვა ქვეყნებთან.

სასკოლო გეოგრაფიის ყოველი კურსისათვის შემუშავდება პრაქტიკულ სამუშაოთა სისტემა.

სტანდარტის ზოგადი სტრუქტურა

წარმოდგენილი სტანდარტი ძირითადად შედგება ორი განყოფილებისაგან:

- გეოგრაფიული განათლების შინაარსი
- მოთხოვნები მოსწავლეთა ცოდნის მიმართ

გეოგრაფიული განათლების შინაარსში გამოიკვეთა შემდეგი:

- მეცნიერული ცოდნა, რომელიც ასახავს და ახსნის დედამიწის ზოგად კანონზომიერებებს.
- დედამიწის ბუნებრივი და ბუნებრივ-სოციალური ობიექტები, რომლებიც ასახავენ მის სტრუქტურას და არაერთგვაროვნებას.
- სიცოცხლის უნარიანობის განმსაზღვრელი პროცესები და მოვლენები.
- მატერიალური და სულიერი კულტურის ფასეულობანი.
- ტერიტორიის გეოგრაფიული დახასიათების ტიპობრივი სტრუქტურა.
- თანამედროვე სამყარო.

შინაარსის განსაზღვრისას შეირჩევა ისეთი საკითხები, რომლებსაც აქვთ უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლისათვის.

მოთხოვნები მოსწავლეთა ცოდნის მიმართ.

მოთხოვნები ცოდნის მიმართ წარმოდგენილია იმ საქმიანობით, რომელიც მოსწავლემ უნდა განახორციელოს. კერძოდ, დაასახელოს ობიექტი, უჩვენოს რუკაზე და დააფიქსიროს, განსაზღვროს მოვლენები და პროცესები. შეასრულოს გაზომვითი სამუშაოები, აღწეროს ობიექტი, შეადგინოს გეგმა და მარტივი რუკა.

ამ საქმიანობას მოსწავლეები ეუფლებიან სწავლების პროცესში.

პირითადი სკოლა

გეოგრაფია მეცნიერებათა სისტემაში. გეოგრაფიის თანამედროვე სტრუქტურა, ისტორიზმისა და ტერიტორიულობის პრინციპები, დიადი გეოგრაფიული აღმოჩენები, გეოგრაფიული მეცნიერების განვითარება საქართველოში, ქართველი გეოგრაფები, მკვლევარები, მოგზაურები.

დედამიწა - მზის სიტემის პლანეტა.

ატმოსფერო - მისი თვისებები და შედგენილობა.

რელიეფის მორფოსტრუქტურა და მორფოსკულპტურა.

მსოფლიო ოკეანე. ზედაპირული წყლები.

ნიადაგები.

გეოგრაფიული ზონალურობა. ბუნებრივი კომპლექსების შეცვლა ეკვატორიდან პოლუსებისაკენ მზის რადიაციის შემცირების გამო.

გეოგრაფიული გარსი და ბუნებრივი კომპლექსები.

გეოგრაფიული მდებარეობა. ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი გავლენა ადგილის ბუნებრივ თავისებურებებზე. გეგმა, რუკა, მასშტაბი.

კონტინენტებისა და ოკეანეების კომპლექსური დახასიათება.

საქართველოს გეოგრაფია.

პლანეტა დედამიწა. დედამიწის შინაგანი აგებულება, ბირთვი, მანტია. გარე გარსები: დედამიწის ქერქი, ჰიდროსფერო, ატმოსფერო, ბიოტა. გეოგრაფიული გარსი, ბიოსფერო როგორც გეოგრაფიული გარსის ნაწილი.

კონტინენტები და მსოფლიო ოკეანე: კუნძულები, ნახევარკუნძულები, ყელი, ზღვები, უბეები, სრუტეები.

დედამიწის ქერქის ნაწილები: მინერალები, ქანები, სასარგებლო წიაღისეული, მთები, ვაკეები, ღრმულები, შუა ოკეანური ქედები, ღარები, წყალქვეშა ვულკანები.

ხმელეთის წყლები: მდინარეები, ტბები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, წყაროები, წყალსაცავები.

ტროპოსფერო: ჰაერის მასები.

ხმელეთის ბუნებრივი კომპლექსები: ბუნებრივი ზონები და ქვეზონები ვაკეებზე. სიმაღლებრივი სარტყელების ბუნებრივი კომპლექსები. მსოფლიო ოკეანის ბუნებრივი კომპლექსები.

ზედაპირული წყლის მასები. თბილი და ცივი დინებები.

დაცული კომპლექსები: ნაკრძალები, აღკვეთილები, ეროვნული პარკები.

ლოკალური (მათ შორის თავისი ადგილის) ბუნებრივი კომპლექსები.

პროცესები და მოვლენები

დედამიწის მოძრაობა ღერძის გარშემო და მისი შედეგები: ბრუნვის ღერძის რყევა, დედამიწის შეკუმშვა ბრუნვის ღერძის გაყოლებით, მოძრავი სხეულების გადახრა სწორხაზოვანი მიმართულებიდან. მოქცევა-მიქცევითი ტალღების წარმოქმნა. დღე-ღამური დროის შეცვლა და დღე-ღამური რიტმი ბუნებაში. დროის სხვაობა სხვადასხვა მერიდიანზე, თარიღთა შეცვლის ხაზი.

დედამიწის მოძრაობა მზის ირგვლივ და მისი შედეგები: დედამიწის მოძრაობა ორბიტაზე და მისი სიჩქარე. დედამიწის ღერძის მდგომარეობა სივრცეში და მზის მიმართ. წლის დროთა ცვლა. ბუნიობა და ნაბუნიობა. დედამიწის ზედაპირის განათება და გათბობა. განათების სარტყელები. სეზონური რიტმები ბუნებაში, დროის ანგარიში. კალენდარი.

ლითოსფეროს ფილების წარმოქმნა და მოძრაობა: დედამიწის ქერქის სიღრმითი რღვევა. ლითოსფერული ფილების წარმოქმნა, ფილების მოძრაობა.

დედამიწის მაგნეტიზმი: დედამიწის მაგნიტური ველი. დედამიწის მაგნეტიზმის ელემენტები, მაგნიტური ქარიშხლები, მაგნიტური ანომალიები, მზის გამოსხივების გავლენა მაგნიტურ ველზე. პოლარული ციალი. მაგნიტური პოლუსები, მათი გადაადგილება.

გამოფიტვა: ქანების მექანიკური დაშლა, ფიზიკური, ორგანული და ქიმიური გამოფიტვა.

გრავიტაცია: გამოფიტვის პროდუქტების გადაადგილება, სხეულის მიზიდვა დედამიწის ცენტრისაკენ, მდინარეთა დინება.

მიწისძვრები: დედამიწის ქერქის რღვევა და გადაადგილება.

მიწისძვრის კერა და ეპიცენტრი.

მიწისძვრის ძალა, გავრცელების ოლქები.

დედამიწის რელიეფის წარმოქმნა: რელიეფის დიდი ფორმების წარმოქმნა (კონტინენტები, ოკეანური ღრმულები, მთები, ვაკეები).

რელიეფის შეცვლა შინაგანი და გარეგანი ძალების მოქმედებით. შინაგანი და გარეგანი ძალების ურთიერთმოქმედება დედამიწის რელიეფის ფორმირებაში.

დედამიწის ქერქის განვითარება: დედამიწის ქერქის მოძრაობა და მდგრადი უბნები.

ბაქნებისა და ალორძინებული მთების წარმოქმნა.

დედამიწის ქერქის გეოსინკლინური და ბაქნური სტრუქტურები და მათი ასაკი.

დედამიწის ქერქის ბაქნური და გეოსინკლური ოლქები.

რელიეფის შეცვლა შინაგანი და გარეგანი პროცესების მოქმედებით: გამოფიტვა, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, მყინვარების, ქარის მოქმედება, ნგრევის პროდუქტების გრავიტაციული გადაადგილება. კონტინენტური დანალექი ქანების წარმოქმნა, ვაკისა და მთიანი ოლქების რელიეფის სკულპტურული ფორმების წარმოქმნა, გარეგანი პროცესების დამოკიდებულება და ქანების შემადგენლობა.

მაგმატიზმი: მაგმის წარმოქმნა და მისი შეჭრა დედამიწის ქერქში, მაგმის ამონთხევა, ვულკანიზმი, ვულკანური მოქმედების პროდუქტები, ვულკანური გავრცელება, მაგმატური ქანები, მაგმატიზმთან დაკავშირებული რელიეფის ფორმები.

მეტამორფიზმი: ქანების გარდაქმნა მაღალი ტემპერატურებისა და წნევის პირობებში, მეტამორფული ქანები.

ჰაერის სინოტივე: აორთქლება, აორთქლებადობა, ჰაერის გაჯერება წყლის ორთქლით, წყლის ორთქლის კონდენსაცია და სუბლიმაცია.

ატმოსფერული ნალექები: ღრუბლები და მოღრუბლულობა, ნალექების წარმოქმნა ჰაერის ქვედა ფენებში და თავისუფალ ატმოსფეროში; ნალექების სახეობები. ნალექების არათანაბარი განაწილება დედამიწის ზედაპირზე, კანონზომიერებანი ნალექების განაწილებაში.

ატმოსფერული წნევა: ჰაერის მასისა და მოცულობის შეცვლა ჰაერის

ტემპერატურისა და სინოტივის გამო. ატმოსფერული წნევის განაწილება დედამიწაზე. ატმოსფერული წნევა ხმელეთისა და ზღვის ზედაპირებზე, ჰაერის მოძრაობა დღე-ღამისა და სეზონების მიხედვით.

ჰაერის მოძრაობა: ჰაერის კონვენციური ნაკადები, მათი გადაადგილება მაღალი წნევის არედან დაბალი წნევისაკენ, ქარი, მისი სახეობები.

პასატები: ჰაერის მოძრაობა ეკვატორულ და ტროპიკულ განედებში. პასატური ქარების მიმართულება.

მუსონური ქარები: ტროპიკებისა და ზომიერი სარტყლის განედების მუსონები.

ჰავის შეცვლა: კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები. დედამიწის ჰავის ტიპები. კლიმატური სარტყლები.

ამინდის შეცვლა: მეტეოელემენტების შეცვლა. ამინდის ძირითადი ტიპები. ამინდი ცხელ, ზომიერ და ცივ სარტყლებში. ამინდი ციკლონებსა და ანტიციკლონებში. ატმოსფერული ფრონტები.

მრავალწლიანი მზრალობა: მრავალწლიანი მზრალობის წარმოქმნა და მისი გავრცელების ოლქები.

ატმოსფეროს გათბობა: ჰაერის აღმავალი და დაღმავალი ნაკადები. რადიაცი-პირდაპირი, გაბნეული, ჯამური; ტემპერატურული გრადიენტი. ჰაერის გათბობა სხვადასხვა განედზე.

დედამიწის ზედაპირის გათბობა: დედამიწის სითბოს წყაროები, დედამიწის ზედაპირის გათბობა სხვადასხვა განედზე, სითბოს სარტყლები.

ჰაერის მასების წარმოქმნა: ჰაერის თვისებები; ეკვატორული, ტროპიკული, ზომიერი, არქტიკული (ანტარქტიკული) განედების ზღვიური და კონტინენტური ჰაერის მასები, ჰაერის მასების მოძრაობა, ჰაერის მასების დასავლეთური გადაადგილება ზომიერ განედებში, ჰაერის მასების გავლენა ამინდსა და ჰავაზე წლის სხვადასხვა დროს.

წყლის ბრუნვა ბუნებაში: დედამიწის ზედაპირის გათბობა მზის სხივებით და აორთქლება, წყლის მსოფლიო ბრუნვა.

ჩამონადენი. ნალექების გაფილტვრა დედამიწის ქერქში.

მიწისქვეშა ჩამონადენი. მინერალური მარილების ჩატანა წყალსატევებში. წყლის დაჭუჭყიანება ადამიანის მიერ და მისი დაწმენდა ბრუნვის შედეგად.

ტერიტორიის დახასიათების ტიპობრივი სტრუქტურა

ტერიტორია და აკვატორია: ქვეყანა - როგორც საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზების ერთეული, მისი სიდიდე და კონფიგურაცია, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი ზღუდეები, საზღვრები, სანაპირო ხაზი, გეოგრაფიული შესწავლა.

ბუნებრივი პირობებისა და ბუნებრივი რესურსების ზოგადი დახასიათება გეოგრაფიულ მდებარეობასთან კავშირში, რელიეფი და მისი სამეურნეო შეფასება, სასარგებლო წიაღისეული, მისი განლაგების კანონზომიერებანი, ჰავა და კლიმატური რესურსები, შიგა წყლები და წყლის რესურსები, მცენარეული და ცხოველთა სამყარო, ბიოლოგიური რესურსები, კულტურული მცენარეების წარმოშობის ცენტრები, ნიადაგები და ნიადაგრესურსები, მათი ტიპები და თვისებები, ნიადაგების გეოგრაფია, ნიადაგების ეროზია, გეოგრაფიული ზონალურობა. ხმელეთისა და ზღვის სანაპიროების - როგორც კონტაქტური ზონის ურთიერთმოქმედება, მოსახლეობის სასიცოცხლო და სამეურნეო გაძლოის ზონალური ფაქტორები, ბუნებრივი რესურსები და რესურსებით უზრუნველყოფის შეფასება, ბუნებრივი რესურსების ტერიტორიული შერწყმა, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტები.

მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობა

დაკვირვებების ჩატარება გეოგრაფიულ მოედნებზე, ექსკურსიების დროს; საველე გამოკვლევები.

კარტოგრაფიული საქმიანობა: ადგილის გეგმისა და მარტივი რუკების შედგენა, რუკის პრაქტიკული გამოყენება, კარტირება. რუკების გამოყენება.

შედარება: რამდენიმე გეოგრაფიული ობიექტის ბუნებრივ მოვლენებსა და პროცესებში მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა. მათი კლასიფიკაცია, შეფასება.

გეოეკოლოგიური მიდგომა: საინფორმაციო სისტემა. დაკვირვებები და გარემოს მდგომარეობის შეფასება. ბუნებრივი რესურსების გამოყენება. გარემოს დაცვა.

მოდერნიზაცია მოსწავლეთა მომზადებისადმი

დასახელება და ჩვენება

დედამიწის ამგები ქანების სახეობათა დასახელება წარმოშობის მიხედვით; სითბოს მომწოდებელი წყაროები, წყლების გამოყენება ადამიანის მიერ, მდინარეთა საზრდოობის წყაროები; ამინდის დამახასიათებელი ტიპები. კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები. ოკეანისა და ხმელეთის წყლების დაცვის ღონისძიება. ქვეყნის ნაწილები, კონტინენტები და ოკეანეები, ზღვები, უბეები, სრუტეები, დინებები, ღრუბლების ძირითადი სახეობები, მდინარის ნაწილები.

საშუალო მზის მდგომარეობა ჰორიზონტზე (ეკვატორზე, ტროპიკებზე, ბუნობისა და ნაბუნობის დღეებში). სიცვიის პოლუსები. დედამიწის ორბიტის სიგრძე და ფორმა. ღერძის დახრილობის კუთხე ორბიტის სიბრტყისადმი. სეისმურად საშიში ტერიტორიები, თბილი და ცივი დინებები. ეკვატორი, ნულოვანი მერიდიანი, ტროპიკები, პოლარული წრეები, პოლუსები, განათების სარტყელები. თარიღთა შეცვლის ხაზი.

დედამიწის გეოლოგიური ასაკი. გეოლოგიური ერები. ცოცხალი ნივთიერებების გავრცელების საზღვრები, ნიადაგის ზონალური ტიპების მთავარი თვისებები. ხმელეთის წყლების გამოყენება ადამიანის მიერ. ოზონური ფენის რღვევის მიზეზები. კლიმატური სარტყელები. ჰაერის ძირითადი მასები. დედამიწის მაგნიტური პოლუსები. დედამიწის ქერქის ძირითადი სტრუქტურები (ტექტონიკური რუკის მიხედვით): ლითოსფერული ფილები, ბაქნები, ნაოჭა ოლქები. თანამედროვე გამყინვარების ძირითადი ოლქები და უდიდესი მყინვარები. პასატების, მუსონების, ჰაერის დასავლეთური გადატანის ოლქები. ჰაერის მასების ძირითადი ტიპები, ამინდის თავისებურებანი ციკლონებსა და ანტიციკლონებში. მსოფლიო ოკეანის ბუნების ანთროპოგენური შეცვლის მაგალითები. მდინარეების განაწილება ოკეანის აუზების მიხედვით. მდინარის ხეობის ელემენტები.

განსაზღვრა (გაზომვა)

აზიმუტის განსაზღვრა (ადგილზე და რუკაზე) კომპასით. ქანების კლასიფიკაცია წარმოშობის მიხედვით (მაგმატური, მეტამორფული, დანალექი). გეოგრაფიული კოორდინატების, მიმართულებების, მანძილის, სიმაღლისა და სიღრმის განსაზღვრა რუკისა და გლობუსის მიხედვით. ჰაერის ტემპერატურის, სინოტივის, ატმოსფერული წნევის, ქარის მიმართულების და ძალის, ღრუბლიანობის განსაზღვრა (მეტეოხელსაწყოების დახმარებით).

მიწისქვეშა წყლების წარმოქმნა: წყალგამტარი და წყალგაუმტარი ქანები. მიწისქვეშა წყლების ფილტრაცია. გრუნტის და ნიადაგის წყლები, წყაროები. მიწისქვეშა წყლების მნიშვნელობა.

კარსტის წარმოქმნა: ქანების გახსნა მიწისქვეშა წყლების მიერ. კარსტული მოვლენები. კარსტის გავრცელების არეები.

ტბების წარმოქმნა: ტბების განსხვავება ქვაბულების წარმოშობის მიხედვით. მლაშე, მტკნარი, მომლაშო, გამდინარე და გაუდინარე ტბები. ტბების გავრცელება.

ჭაობების წარმოქმნა: ჭაობების წარმოქმნის მიზეზები. ქვედაური, ზედაური და გარდამავალი ჭაობები. ჭაობების გავრცელება.

ხმელეთისა და მსოფლიო ოკეანის წყლების მოძრაობა: ტალღების სახეობები (ქარისმიერი, სეისმური, ზვიროთული, მოქცევითი), დინებები (მდინარეული, ტბიური, ზღვიური).

წყლის მასების ვერტიკალური გადაადგილება.

მდინარის ხეობის განვითარება: მდინარის ვარდნა, კალაპოტის დახრილობა და მდინარის სიჩქარე; ზემო, შუა და ქვემო დინებები. ეროზია (გვერდითი, სიღრმითი), მყარი ჩამონადენი. ეროზიის ბაზისი. მდინარის წონასწორობის პროფილი.

მდინარის რეჟიმი: მდინარეების საზრდოობა. მათი განსხვავება საზრდოობის მიხედვით. წყალდიდობა, წყალმოვარდნა, წყალმარჩხოვა. გაყინვა, გაღებობა, ყინულსვლა. მდინარის ხარჯი. წლიური ჩამონადენი.

მდინარის რეჟიმის დამოკიდებულება ჰავასა და რელიეფზე.

გამყინვარება: მყინვარების წარმოქმნის მიზეზები. მეოთხეული გამყინვარება. მთისა და ზეწრული მყინვარები. გამყინვარების თანამედროვე ოლქები. მყინვარების ნგრევეთი მოქმედება.

ნიადაგის წარმოქმნა: გამოფიტვის ქერქი, ნიადაგის შემადგენლობა, მათი თვისებების დამოკიდებულება ჰავასა და შემადგენლობაზე, ნიადაგების მრავალფეროვნება და მათი გეოგრაფია.

ვერტიკალური სარტყლოება: ბუნებრივი კომპლექსების დამოკიდებულება რელიეფსა და ადგილის სიმაღლეზე, ვერტიკალური სარტყლების წარმოქმნა, მისი გავლენა ადამიანსა და მეურნეობაზე.

დედამიწის ბუნებრივი ზონალობა: ბუნებრივი კომპლექსების დამოკიდე-

ბულება ჰავაზე. ბუნებრივი კომპლექსების წარმოქმნა ხმელეთზე და მსოფლიო ოკეანეში, მეურნეობის განვითარების თავისებურებანი სხვადასხვა ზონაში.

ბუნების კომპონენტების (რელიეფის, ქანების, ჰავის, წყლების, ნიადაგების მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს) ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულება. ბუნებრივი კომპლექსები, მათი მრავალფეროვნება, გეოგრაფიული გავრცელება.

ცოცხალი ორგანიზმები: მათი ვერტიკალური და ჰორიზონტალური გავრცელება, ბიოსფერო, ნივთიერებათა ბრუნვა ბიოსფეროში, ცოცხალი ორგანიზმების როლი დედამიწის სფეროს განვითარებაში.

დედამიწის ბუნების სექტორულობა: კლიმატის შეცვლა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ბუნებრივი ზონების შეცვლა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

მატერიალური და სულიერი კულტურული ვასეულობანი

ბუნების გავლენა ადამიანისა და საზოგადოების სულიერი და მატერიალური კულტურის ფორმირებაზე: გარემოს ბუნების თავისებურებათა ასახვა მხატვრობაში, მუსიკასა და სკულპტურაში, ქვის თლის ხელოვნება (ჭედურობა, ქსოვა და სხვ.).

ბუნების გავლენა წეს-ჩვეულებებსა და ქცევის ნორმების ფორმირებაზე: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული შრომითი წესებისა და ჩვევების ფორმირება. ადგილობრივი მოსახლეობის წეს-ჩვეულებანი, გენოფონდის დაცვა, უნიკალური ლანდშაფტების წმინდა ადგილებად გამოცხადება.

ბუნების თავისებურებათა ასახვა მხატვრობაში, მუსიკაში, სკულპტურაში. დეკორაციულ-გამოყენებით ხელოვნება. შრომითი ჩვევების ფორმირება. ადამიანის ადაპტაცია გარემოსადმი.

განსხვავება კვებაში: ბუნებრივ-კლიმატური პირობების გავლენა ადამიანის კვებაზე, კვების ზონალურ-გეოგრაფიული ტიპები.

საშიში ბუნებრივი მოვლენები: ვულკანები, მიწისძვრები, მეწყრები, თოვლ და კლდე ზვავები, ღვარცოფები, ცუნამი, წყალდიდობები, წყალმოვარდნა, მათი თავიდან აცილება. ქცევის წესები ექსტრემალურ სიტუაციაში, დასახლებული პუნქტებისა და საცხოვრებლების დაცვა საშიში მოვლენებისაგან, სეისმოგამძლე მშენებლობა, ზღვის და მდინარეთა ნაპირების, მთის კალთების გამაგრება, სტიქიური უბედურებისა და კატასტროფების ლიკვიდაცია ან შერბილება.

ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობა. ტემპერატურათა წლიური ამპლიტუდა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ჯამური რადიაციის ოდენობა რუკის მიხედვით. ნალექების ოდენობა და დანესტიანების კოეფიციენტი რუკის მიხედვით. ობიექტებისა და მოვლენების განვითარების ტენდენციები, მათი ცალკეული მაჩვენებლების შეცვლა დროსა და სივრცეში. ტერიტორიების სხვაობა სასარტყელო დროში, ჰაერის ტემპერატურის განსაზღვრა იზოთერმებისა და აბსოლუტური აღნიშვნების მიხედვით. ამინდი - სინოპტიკური რუკის მიხედვით.

აღწერა

წყლის ბრუნვა, მისი გავლენა ბუნებაზე, ადამიანის საქმიანობაზე.

ბიოტიკური და გეოლოგიური წრებრუნვები (სქემის მიხედვით). თავისი ადგილის ბუნება. ბუნებრივი რაიონი (შერჩევით).

ახსნა

განათებულობის გავლენა დღე-ღამურ და სეზონურ რიტმებზე. თბილი და ცივი დინებების ზემოქმედება ჰავაზე. ატმოსფერული ნალექების, მიწისქვეშა წყლებისა და წყაროების წარმოშობა და მათი გამოყენება. მსოფლიო ოკეანის დინებები, მიქცევა-მოქცევა, წყლის ტალღობრივი მოძრაობა. გარეგანი ძალების მოქმედების შედეგად შექმნილი რელიეფის ფორმები. მდინარეთა საზრდოობისა და რეჟიმის თავისებურებანი, მათი შეცვლა ადამიანის საქმიანობით. საშიში ბუნებრივი მოვლენები (მიწისძვრები, ვულკანების მოქმედება, ნისლი, ზვავი, ქარიშხლები). წლის დროთა, დღე-ღამის მონაცვლეობის მიზეზები. ტბების წარმოშობა და სხვაობა მათ ბუნებაში. გრადუსთა ბადის აგება რუკაზე. ქარი და მისი ძალის შეცვლის მიზეზები.

ოკეანის გავლენა ადამიანის სიცოცხლესა და სამეურნეო საქმიანობაზე. გამყინვარების გავლენა დედამიწის ბუნებაზე. ჰავის გავლენა ადამიანის სიცოცხლეზე, ყოფაზე, სამეურნეო საქმიანობაზე. გრავიტაციის გავლენა ბუნებრივ პროცესებზე. ოზონური ფენის მნიშვნელობა სოცოცხლისათვის. ჰავის და ბუნებრივი კომპლექსების შეცვლა ადამიანის საქმიანობის შედეგად. როგორ ხდება ამინდის პროგნოზირება. ჰაერის მასების ძირითადი ტიპების თვისებები. რელიეფის დიდი ფორმების (კონტინენტური შვერილების, ოკეანური ღრმულების, ღრმა ღარების, მთიანი ქვეყნების, ვაკეების) წარმოქმნა. ატმოსფერული ფრონტების წარმოქმნა და მათი გავლენა ამინდზე. სმოგის წარმოქმნა. ბუნებრივი ზონების მცენარეულისა და ცხოველთა სამყაროს თავისებურებანი. ცალკეული ტერიტორიის ბუნების, მოსახლეობის, მეურნეობის თავისებურებანი. საშიში ბუნებრივი მოვლენები (გვალვა, ხორშაკი, ძლიერი ყინვები, წყინვა, ლიპყინული, კატასტროფული თავსხმები, ღვარცოფები, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ზვავი, მეწყერი), მათი გავრცელება. ლანდშაფტების ზონალური და აზონალური დიფერენციაცია. ნალექების არათანაბარი განაწილების მიზეზები. ნიადაგწარ-

მოქმნის პროცესები. მაღალი და დაბალი წნევის არეების წარმოქმნის მიზეზები. განსხვავება ცალკეული ტერიტორიის ჰავაში. სასარგებლო წიაღისეულის განლაგება. მუდმივი მზრალობის გავრცელება, მისი გავლენა ბუნებრივ კომპლექსსა და ტერიტორიის ათვისებაზე. განსხვავება ოკეანეების წყლის მასების თვისებებში. ტემპერატურული ინვერსია.

საშუალო სკოლა

სწავლების შინაარსი

მსოფლიო პოლიტიკური რუკა, მოსახლეობა, მეურნეობა.

შრომის გეოგრაფიული დანაწილება.

ტერიტორიის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა.

ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები.

საწარმოო ძალების განლაგება.

მეურნეობის ცალკეული დარგის განლაგების ფორმები.

ეკოლოგიური კრიზისები.

სოციალურ-ეკონომიკური ობიექტები

სოციალურ-ეკონომიკური ობიექტები როგორც ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმოქმედების შედეგი. მისი საქმიანობის პროდუქცია. რეგიონები, ქვეყნები, ოლქები (მხარეები), რაიონები, თავისი ადგილი. საბადოები, აუზები, სარესურსო ადგილები, რაიონები.

მსოფლიო რეგიონული ცენტრები: სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, საინფორმაციო, ფინანსური, სავაჭრო, რეკრეაციული.

დედაქალაქები და მათი რეგიონები. ქალაქები. ქალაქთა სისტემები. სოფლის დასახლებები.

მსოფლიო და რეგიონული სატრანსპორტო ქსელი და გზები.

ეკონომიკური და ბუნებრივ-სამეურნეო რაიონები.

სოციალურ-ეკონომიკური პროცესები და მოვლენები

დასახლების ტიპები: ძირითადი რასების, ხალხების, ენების, რელიგიების გავრცელება დედამიწაზე. მოსახლეობის დინამიკა, ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, დემოგრაფიული პოლიტიკა.

მოსახლეობის ტერიტორიული გადანაწილება: საგარეო და შიდა მიგრაცია, მოსახლეობის სიმჭიდროვე, მათი თავმოყრის მთავარი არეალები.

ურბანიზაცია და ქალაქების განვითარება: ქალაქების განვითარების მიზეზები, მათი ტოპოდინამიკა, ფუნქციები, საქალაქო დასახლების ფორმები (ქალაქი, აგლომერაცია, მეგალოპოლისი), ქალაქების სისტემა.

კულტურათა ურთიერთგამდიდრება: დიადი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა, ხალხების დიდი გადასახლება, ერის ფორმირების ისტორიული თავისებურებანი, მათი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების ყოფით თავისებურებებზე. დიალექტის, ფოლკლორის, ჩვევების, საცხოვრებლების, ტანსაცმლის, საკვების მრავალფეროვნება, ხალხების თანამედროვე კულტურა, "ახალი დასახლების ქვეყნებში" მსოფლიოს კულტურული რეგიონების ფორმირება.

მეურნეობის თანამედროვე სტრუქტურის ჩამოყალიბება: პოსტინდუსტრიული სტრუქტურის განვითარება, მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის გავლენის ზრდა მეურნეობასა და მის განლაგებაზე, წარომება და მართვა. პროპორციების შეცვლა საწარმოო და არასაწარმოო სფეროების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მოპოვებით და გადამამუშავებით დარგებს შორის, ერთიანი ენერგეტიკული, სატრანსპორტო, საინაფორმაციო სისტემების ფორმირება.

შრომის გეოგრაფიული დანაწილების გაღრმავება: საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგების ფორმირება, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, რეგიონალური და დარგობრივი დაჯგუფებები, საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური კავშირების მთავარი მიმართულებების ფორმირება.

მეურნეობის ტერიტორიული კონცენტრაცია მრეწველობის ძველ რაიონებში: განვითარების ისტორიული ფაქტორი, ტრადიციებისა და შრომითი ჩვევების როლი, ძველი ათვისების რაიონების რეკონსტრუქცია.

ახალი რაიონების სამეურნეო ათვისება: ახალი რაიონების როლის ზღრა მსოფლიო მეურნეობაში, სარესურსო წანამძღვრები.

განსახლების სისტემების ფორმირება: საქალაქო და სასოფლო დასახლებები, განსახლების სისტემათა მრავალფეროვნება, მათი ფუნქციები, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის განლაგების მთავარი არეალები, ქალაქების სოციალურ-გეოგრაფიული პრობლემები, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ტურიზმისა და რეკრეაციის ზონების ფორმირება: ტურიზმისა და რეკრეაციის ბუნებრივი ფაქტორები. კულტურულ-ისტორიული რეკრეაციული ცენტრები.

ანთროპოგენური პროცესები და მოვლენები: ლანდშაფტების ანთროპოგენური შეცვლა, ტყეების განადგურება და ჟანგბადის მარაგის შემცირება, მიწების გაუდაბნობა სამეურნეო საქმიანობის შედეგად, მრავალწლიანი მზრალობის დეგრადაცია და მისი შედეგები, კულტურული ლანდშაფტების შექმნა.

გეოსისტემების გლობალური შეცვლა: მთლიანობა, დინამიურობა, განვითარება, ადამიანის გავლენა ბუნების კომპონენტებსა და მათ შორის კავშირზე.

ნიადაგსაფარის დეგრადაცია: ნიადაგების გამოფიტვა, მიწების დაჭაობება და განმეორებითი გატყვიანება, ნიადაგების ეროზია, დამლაშება, ქიმიური სასუქებით გადაჯერება.

ხმელეთისა და მსოფლიო ოკეანის წყლების გაჭუჭყიანება: გაჭუჭყიანება სამრეწველო ნარჩენებით, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ჩამონადენებით, ნავთობის პროდუქტებით. რადიაციული გაჭუჭყიანება.

ატმოსფეროს გაჭუჭყიანება: ქიმიური ელემენტებით, ხმაურით.

ოზონის ფენის გამოფიტვა და რღვევა: ნივთიერებებისა და ენერჯის გაცვლა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედებისას, ბუნებრივი ნივთიერებების ჩაბმა სამეურნეო ბრუნვაში, მოპოვებული ნივთიერებების უტილიზაცია და მისი დაბრუნება გარემოში, ბუნებრივი კავშირების დარღვევა ბუნებრივ კომპონენტებს შორის, კავშირების აღდგენა, გარემოს დეგრადაცია და მოსახლეობის ჯანმრთელობა.

ბუნებათსარგებლობის ისტორიული გამოცდილება.

მატერიალური და სულიერი კულტურული ფასეულობანი

ადამიანის ადაპტაცია გარემოსადმი:

ადამიანის სამეურნეო საქმიანობა - როგორც გარემოსადმი ადაპტაციის მთავარი საშუალება: სამეურნეო საქმიანობის ძირითადი ტიპები (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, სატყეო მეურნეობა, წიაღის სიმდიდრეთა მოპოვება, მრეწველობა), ბუნების რეკრეაციული გამოყენება, წარმოება - როგორც ნივთიერებათა გაცვლა ბუნებასა და ადამიანს შორის, ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის გეოგრაფიული განსხვავებანი, სატრანსპორტო საშუალებანი (სახმელეთო, საჰაერო, წყლის) კავშირების საშუალებანი.

საინფორმაციო რესურსები - როგორც ეროვნული სიმდიდრის ნაწილი.

ტერიტორიის დახასიათების ტიპობრივი სტრუქტურა

მოსახლეობის განსახლება: მოსახლეობის ოდენობის დინამიკა, ტერიტორიის დასახლება, გეოდემოგრაფია (შობადობა, სიკვდილიანობა, ბუნებრივი ნამატი, დემოგრაფიული პოლიტიკა, მიგრაცია – საგარეო, საშინაო).

ეთნიკური შემადგენლობა: ეთნოსი, ხალხები, ეროვნება, ენები, რელიგიების გეოგრაფია და მათი როლი საზოგადოების განვითარებაში, მოსახლეობის ჯანმრთელობა და მისი ფაქტორები, განათლების დონე და კადრების მომზადება, ტრადიციები და შრომითი ჩვევები, მატერიალური და სულიერი კულტურა, გარემოს პირობებთან შეგუება, სოციალური ინფრასტრუქტურა.

განსახლება: განსახლების ტიპები ისტორიულ, ეკონომიკურ და ბუნებრივ პირობებთან კავშირში, საქალაქო განსახლება და ურბანიზაცია, ურბანიზაციის თავისებურებანი და ხასიათი, საქალაქო სისტემების განვითარება, ქალაქების ფუნქციონალური ტიპები და საქალაქო განსახლების ჯგუფური ფორმები, სადედაქალაქო რეგიონები, მათი როლი და პრობლემები, სასოფლო განსახლება, მისი ტიპები და სოციალურ-გეოგრაფიული პრობლემები.

მეურნეობა: ტერიტორიის მდებარეობა შრომის გეოგრაფიული დანაწილების სისტემაში, მეურნეობის ფორმირების ისტორიულ-გეოგრაფიული ტიპები, თანამედროვე ბუნებათსარგებლობის ტიპები, რესურსები, წარმოების რესურსმოცულობა და ენერგომოცულობა, მათი დაზოგვის ტექნოლოგიები.

მეურნეობის სპეციალიზაცია: მეურნეობის განლაგების ფაქტორები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მაღალი ტექნოლოგიების დარგების როლი, დარგთაშორისი კომპლექსები (სათბობენერგეტიკული, სამეცნიერო, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, სატყეო, აგროსამრეწველო, ინფრასტრუქტურული).

მეურნეობის სოციალური სტრუქტურა: საკუთრების ფორმები.

მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურა: დარაიონება, ეკონომიკური რაიონები (ბუნებრივ-სამეურნეო, დარგობრივი), რაიონათშორისი და საგარეო ეკონომიკური კავშირები, ტურიზმი, რეკრეაცია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პოლიტიკა.

გარემო: საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების თანამედროვე

ეტაპი. გარემოს გეოგრაფიული ტიპები (სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, ბუნებრივი და სხვა), გარემოს ხარისხი. მისი დეგრადაცია, გარემოს გაჭუჭყიანების ფაქტორები, სახეობები და ფორმები. ეკოლოგიურ უბედურებათა ზონები. სტიქიური და ტექნოგენური კატასტროფები. ადამიანის ქცევის წესები კრიტიკულ სიტუაციებში. ბუნების დაცვის პოლიტიკა (დასაცავი ტერიტორიები და აკვატორიები). ტერიტორიის ეკონომიკური გაუმჯობესების გზები, ეკოლოგიური და ბუნებათდაცვითი კულტურა, ეკოლოგიური აზროვნება, ბუნებაში ქცევის წესები.

მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობა

სტატისტიკური მასალის შეგროვება. მისი გამოსახვა ცხრილების დადიაგრამების სახით, დაკვირვების შედეგების დამუშავება, მოვლენებსა და პროცესებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა განსაზღვრა.

ისტორიული მდგომარეობა: ობიექტის წარსული მდგომარეობის შესწავლა. მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის დამახასიათებელი მდგომარეობის დახასიათება წარსულის რეკონსტრუქციისა და მომავლის პროგნოზირებისათვის. ობიექტის თანამედროვე სტრუქტურის გამოვლენა მისი განვითარების ისტორიის შესწავლის საფუძველზე. ობიექტის ისტორიული მდგომარეობის შედარება მისი უნიკალური ნიშნების ასახსნელად.

შედარება: გეოგრაფიული ობიექტების შედარებითი დახასიათების შედგენა რუკების დახმარებით.

ეკოლოგიური მდგომარეობა: ლოკალური, რეგიონული და გლობალური გეოგრაფიული მონიტორინგი, სამეურნეო და სოციალური განვითარების მონიტორინგი.

დასახელება და ჩვენება

ქალაქები. უდიდესი საკურორტო რაიონები. მსოფლიოს ძველი სამრეწველო რაიონები. კულტურულ-ისტორიული ცენტრები. მსოფლიოს სატრანსპორტო და საინფორმაციო ქსელი და მიმოსვლის გზები. მსოფლიოს რაიონები და ცენტრები (სასარგებლო წიაღისეულთა საბადოები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო-ინფორმაციული, ფინანსური, სავაჭრო, რეკრეაციული). ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეობები. გეოგრაფიული ინფორმაციის ძირითადი საშუალებანი და მეთოდები.

ხალხები, გავრცელებული ენები, მსოფლიოს რელიგიები, მათი არეალები. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის რეგიონები. კულტურის ინტენსიური ურთიერთშერწყმისა და ურთიერთგამდიდრების ძირითადი რეგიონები. მსოფლიო მეურნეობის დარგები, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმები.

ნიადაგრესურსების მინერალური რესურსების რაციონალური და არარაციონალური გამოყენების მაგალითები. მიწის მელიორაციის მაგალითები. ბიოლოგიური რესურსების გამოყენება. წარმოების რაციონალური და არარაციონალური გამოყენება. ახალი ათვისების რაიონები. ოკეანის რესურსები და მათი გამოყენება. რეგიონები და ქვეყნები. დედაქალაქები, სასოფლო დასახლებები.

ბანსაზღვრა (გაზომვა)

ობიექტის ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორ-იმპორტიორები. ტურიზმისა და რეკრეაციის დიდი ზონების წარმოქმნისა და განვითარების პირობები. მსოფლიოს უდიდესი ქალაქების ფუნქციები.

აღწერა

ახალი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საქალაქო, სატრანსპორტო ან რეკრეაციული მშენებლობის ერთ-ერთი რაიონი. ერთ-ერთი ქვეყანა (შერჩევით).

მიგრაციული პროცესების გავლენა ქვეყნისა და ტერიტორიების შრომითი რესურსების შემადგენლობასა და სტრუქტურაზე. დიადი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის გავლენა ცალკეული რეგიონისა და ქვეყნის მოსახლეობის თანამედროვე კულტურულ თავისებურებაზე. პროპორციების შეცვლა საწარმოო და არასაწარმოო სფეროს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მოპოვებით და გადამუშავებით დარგებს შორის. მეურნეობის სტრუქტურა, მიგრაციული პროცესები ცალკეული ქვეყნისა და რეგიონების მაგალითებზე. მეურნეობის ძირითადი დარგების განლაგების თავისებურებანი. ახალი ათვისების რაიონების ძირითადი სპეციალიზაცია. აგლომერაციებისა და მეგალოპოლისების წარმოქმნა და განვითარება. მსოფლიო მეურნეობის დარგებისა და ტერიტორიული სტრუქტურის თავისებურებანი. შრომის იარაღების, გადაადგილების, საცხოვრებლების, სამეურნეო საქმიანობის სხვაობათა თავისებურებანი, რომლებიც შეიქმნა სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში როგორც გარემოს მიმართ ადამიანის ადაპტაციის შედეგი. თანამედროვეობის გლობალური პრობლემების წარმოქმნის მიზეზები. ჩინური, ინგლისური, ესპანური, რუსული, არაბული, ჰინდის ენების დიდი გავრცელების მიზეზები. დემოგრაფიული აფეთქების მიზეზები მსოფლიოს რიგ ქვეყნებში. შრომის საერთაშორისო გეოგრაფიულ დანაწილებაში რეგიონალური და დარგობრივი დაჯგუფებების წარმოქმნა. განსხვავება ბუნებრივ ნამატში, ცალკეული ტერიტორიის ურბანიზაციის ტემპსა და მიგრაციის მიმართულებაში, ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების დონეში. მსოფლიოს რელიგიების გავრცელება დედამიწაზე. ცალკეული ტერიტორიის სპეციალიზაცია და მათი მონაწილეობა შრომის გეოგრაფიულ დანაწილებაში. საერთაშორისო რეესტრში შესული ბუნებისა და კულტურის ძეგლთა ობიექტების უნიკალობა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა (შერჩევით).

სანიმუშო დავალები მოსწავლეთა მომზადებისა ღონის შემოწმებისათვის

პირითადი სკოლა

1. დაასახელეთ და აჩვენეთ რუკაზე მნიშვნელოვანი მთები. განსაზღვრეთ მათი სიმაღლე (შერჩევით) სკალის მიხედვით.
2. რას ეწოდება მერიდიანი. აჩვენეთ რუკაზე ნებისმიერი მერიდიანი და განსაზღვრეთ რომელ კონტინენტებსა და ოკეანეებს გადაკვეთს იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.
3. აჩვენეთ რუკაზე უდაბნო საპარა და ახსენით რა მიზეზებმა განაპირობა მისი წარმოქმნა?
4. ქვემოთ დასახელებული ტესტური ინფორმაციიდან რა უწყობს ხელს ატმოსფეროს სისუფთავის დაცვას?
 - ა) წარმოებაზე მტკერ - და გაზდამჭერი მოწყობილობების დამაგრება.
 - ბ) თბოელექტროსადგურების მყარ საწვავზე და გაზზე გადაყვანა.
 - გ) საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაცია.
 - დ) ტყეების შენარჩუნება
 - ე) ტრანსპორტის ელექტროდენზე გადაყვანა.
5. განსაზღვრეთ რომელიმე ობიექტის (შერჩევით) კოორდინატები.
6. შეარჩიეთ სწორი პასუხი:
 - ა) ქ. ბათუმში ნალექის ყოველწლიური რაოდენობა შეადგენს 200 მმ.; 400 მმ.; 1000 მმ.; 2000 მმ.
 - ბ) როგორ შეიცვლება მიწისქვეშა წყლების დონე მდინარის აუზში, თუ მდინარეზე მოაწყობენ წყალსაცავს?
7. როგორ ვლინდება სიმაღლებრივი სარტყლურობა საქართველოში?
8. ტიპობრივი გეგმის მიხედვით აღწერეთ რომელიმე ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტი (შერჩევით).
9. რა არის ბუნებრივი კომპლექსი? რომელი ბუნებრივი კომპლექსებია დამახასიათებელი საქართველოსათვის? რამ განაპირობა მათი ნაირსახეობა?

საშუალო სკოლა

1. რას შეისწავლის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია?
2. როგორ განსხვავდებიან ქვეყნები სახელმწიფოებრივი წყობის ფორმის მიხედვით? მოიყვანეთ მაგალითები.
3. დაამტკიცეთ, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე არ ახდენს გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.
4. რას ეწოდება საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგი? მოიყვანეთ მაგალითები რომელი ქვეყნებისათვის იქნება ნავთობის მრეწველობა საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგი.
5. შეადარეთ ორი ქვეყნის (შერჩევით) ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა. რა საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს გამოყოფთ.
6. რა ცვლილებებს გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის განვითარება? ჩამოაყალიბეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
7. შეადარეთ დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის მეურნეობა. რა ფაქტორებმა განაპირობა იაპონიის მეურნეობის განვითარება და როგორია მისი გავლენა მოსახლეობისა და მეურნეობის განლაგებაზე?